საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/3 „20" იანვარი 2014 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი დაუწესდეთ საქართველოს საერთო სასამართლოების შემდეგ მოსამართლეებს:

ა) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს – 700 ლარი;

ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს – 700 ლარი;

გ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს – 700 ლარი.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი